“პროგრამა-მინიმუმი” შესრულებულია!

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 8 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) - “შინიკი” (იაროსლავლი) - 3:1 (1:0).

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, რეხვიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, დათუნაშვილი, ბარქაია, მეტრეველი, მესხი.

“შინიკი”: ჩისტიაკოვი, მოროზოვი, მანკო, აფანასიევი, მიტინი (არტემიევი), ვერეიკინი, შილინი, გოლოდუბოვი, ფედოსოვი, ვოროტილინი, სემეოშინი.

მსაჯი: ნ. კრილოვი (კუიბიშევი).

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო მატჩის მოგება თბილისელთათვის აუცილებლობას წარმოადგენდა. მხოლოდ გამარჯვება აძლევადა საშუალებას ჩვენს გუნდს შეესრულებინა თავისებური “პროგრამა-მინიმუმი”, რის გარეშეც დღის წესრიგიდან იხსნებოდა 18 ნოემბრის გადამწყვეტი შეხვედრა ტაშკენტის ნეიტრალურ სტადიონზე მოსკოვის “ტორპედოსა’ და თბილისის “დინამოს” შორის.

შესაძლოა ეს ფორმულირება - “პროგრამა-მინიმუმი” - მეტისმეტად მოკრძალებულია გუნდისთვის, რომლმაც საკავშირო ჩემპიონატში II ადგილი და ვერცხლი გაინაღდა, მაგრამ ვინაიდან თბილისის “დინამოს” წინა აქვს რეალური პერსპექტივა შეასრულოს “პროგრამა-მაქსიმუმიც” და დაეუფლოს ოქროს, თავს უფლებას ვაძლევთ უკვე განვლილ ეტაპს მხოლოდ “მინიმუმი” ვუწოდოთ.

8 ნოემბრის შეხვედრისათვის “შინიკს” ყოველგვარი იმედი ამოწურული ჰქონდა: “მოლდოვასთან” და “კაირიტათან” ერად იგი გამოეთიშა უძლიერესთა ჯგუფს, მაგრამ იაროსლავლის ფეხბურთელებს შეეძლოთ დაუფასებელი სამსახური გაეწიათ თავიანთი სისტემის პროფკავშირული გუნდის - მოსკოვის ტორპედოელებისთვის: საკმარისი იყო ფრე და “ტორპედოც” ჩემპიონი ხდებოდა.

აი, ამიტომ იბრძოდა “შინიკი” ასეთი თავგამოდებით და მონდომებით, ამიტომ გაუჭირდა ლიდერს თამაშის მოგება აუტსაიდერთან, თუმცა მეტოქეთა საერთო კლასისა და ცალკეულ მოთამაშეთა სიძლიერის შედარებაც კი არ შეიძლება.

გაძლიერებული დაცვის, “ბეტონის” წინააღმდეგ ბრძოლა თბილისელთა თავდასხმისთვის კარგა ხანია ჩვეულებრივ ამბად იქცა, მაგრამ “შინიკი” ამჯერად საგანგებოდ გაძლიერებული რიგებით მოქმედებდა საჯარიმო მოედნის ფარგლებში. დინამოელები სისტემატურად არღვევდნენ მას მარცხენა ფლანგიდან მესხის მეშვეობით, შეტევაში აქტიურად მონაწილეობდნენ იამანიძე და გ. სიჭინავა და მაინც კარის აღება პრობლემად იქცა. მხოლოდ 21-ე წუთზე მოხერხდა გოლის გატანა, მაგრამ ეს იყო უმაღლესი საფეხბურთო ოსტატობის შესანიშნავი ნიმუში: გ. სიჭინავამ ძალზე ძნელი მდგომარეობიდან ამოხსნა გზა რთული კომბინაციის გაგრძელებისა, ხოლო იამანიძემ უნაკლოდ შეასრულა დრიბლინგი და გადამწყვეტი დარტყმა - 1:0.

თითქოს ყველაფერი თავის რიგზე იყო, მაგრამ როცა მეორე ტაიმის დასაწყისში “დინამოს” დაცვის ცენტრალურ ზონაში დაშვებული შეცდომის შედეგად შილინმა გაიტანა საპასუხო ბურთი, თბილისელთა უკანა ხაზების მოთამაშეთა შორის თავი იჩინა ნერვიულობამ და სტუმრების იშვიათი კონტრშეტევებისას აქ ხშირად იქმნებოდა სახიფათო მდგომარეობა.

ეს იყო განვლილი მატჩის ყველაზე უსიამოვნო წუთები ჩვენი გუნდისთვის, მაგრამ საბედნიეროდ, იგი დიდხანს არ გაგრძელებულა. სიცხადე ამბავთა მსვლელობაში შეიტანა მეტრეველმა. მან მინდვრის სიღრმეში მიიღო ბურთი,

სწრაფად გავიდა “თავის” ფლანგზე და იშვიათი სიზუსტით გაგზავნა იგი მეტოქეთა კარში - 2:1.

ნერვულმა შოკმა მაშინვე განვლო და “დინამო” კვლავ ამოქმედდა სრული ძალით, გამარჯვების საბოლოო გარანტიის მისაღებად საჭირო იყო კიდევ ერთი გოლი და იგი გატანილ იქნა 81-ე წუთზე. იამანიძემ შორი მანძილიდან დაარტყა კარში. მეკარე ჩისტიაკოვმა ვერ შეძლო ბურთის ხელში გაჩერება და დათუნაშვილმა, რომელიც ასეთ მომენტებში შეუცდომელი ინტუიციით მოქმედებს, ანგარიში “შეასწორა” 3:1-მდე.

გამარჯვება მოპოვებულ იქნა. წინ დარჩა ტაშკენტის დიდი მატჩი!

ბ. ქორქია.

“ლელო”, 10 ნოემბერი, 1964 წ.